სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

82954405848319

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190060483

რეგისტრაციის თარიღი

22.01.2019 წ

ნოტარიუსი: ლელა ინწკირველი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორ იანვარს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუს
ინწყირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსს ქ. თბილისში,
ინწყირველის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბ
მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმ
_ ბატონმა ვახტანგ გამრეკელმა (დაბადებული 04.02.1970 წ. რეგისტრირ
საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, პირადი №01001024798).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქ
ვახტანგ გამრეკელმა განაცხადა, რომ:

ა) არის შპს „ფენიქსის“ (რეგისტრირებული 30.01.2010 წ. საიდენტიფიკაცი
№404852931, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, ბ
დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) როგორც შპს „ფენიქსის“ დირექტორს, სურს, შპს „ფენიქსის“ რწმუნ
უფლებამოსილება მიანიჭოს გიორგი ბენდელიანს (დაბადებული 25.04.1986 წ.
№01001029584).

მან მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და სანოტარო წესით დ
ჩემ მიერ.

მე შევამოწმე ვახტანგ გამრეკელის უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით
ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ
სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ფენიქსის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის
მომზადების თარიღი: B17010237, 26/01/2017 14:12:30);

ბ) სანოტარო აქტი _ შპს „ფენიქსის“ წესდება (დამოწმებული 21.01.2010 წ. ნოტ
გინტურის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100043204).

შესაბამისად, ვადასტურებ, რომ ვახტანგ გამრეკელის უფლებამოსილება უნაკ
მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დ
ემდეგ:

„ვახტანგ გამრეკელმა (დაბადებული 04.02.1970 წ. რეგისტრირებული საცხო
დგილი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, პირადი №01001024798), როგორც შპს „ფ
რეგისტრირებული 30.01.2010 წ. საიდენტიფიკაციო კოდი №404852931) დირე
ორგი ბენდელიანს (დაბადებული 25.04.1986 წ. პირადი №01001029584), რ
ემდგომში მოხსენიებულია როგორც „რწმუნებული“, მიანიჭა შპს „ფ
რეგისტრირებული 30.01.2010 წ. საიდენტიფიკაციო კოდი №404852931) (რ
მდგომში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებელი“) რწმუნებულის უფლებამ
მდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

1. რწმუნებული უფლებამოსილია, უძრავ ქონებებზე (რომლებიც განთავს
დეგ მისამართებზე და რომელთა საკადასტრო კოდებია: (1) ქ. თბილისი, აკაკ
ა №2, საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.180, (2) ქ. თბილისი, აკაკი ვასაძის ქ
დასტრო კოდი: №01.11.12.018.181, (3) ქ. თბილისი, აკაკი ვასაძის ჭუჭა №2ბ, საკა
დი: №01.11.12.018.179, (4) ნუცუბიძის პლატო, IV მიკრორაიონი, საკადასტრ

№01.14.01.001.145) მიმდინარე და/ან მომავალში განსახორციელებელ სამშენებლო-დეველოპერულ პროექტებთან დაკავშირებით მარწმუნებელი წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და განვითარების საქალაქო სამსახურში, თბილსერვის ჯგუფში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა ნებისმიერ სამსახურსა და სტრუქტურაში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან (მათ შორის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, გაზის, წყლის მიმწოდებელ სუბიექტებთან), სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, ჩააბაროს სამშენებლო-არქიტექტურული და სხვა ნებისმიერი სახის პროექტები, უზრუნველყოს პროექტებში ცვლილებების შეტანა, მიიღოს პროექტები, ჩაიბაროს პროექტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, უზრუნველყოს ნებართვების ვადის გაგრძელება, გამოასწოროს დაშვებული შეცდომები და სხვა ხარვეზები, ცვლილებები შეიტანოს დოკუმენტებში, წარადგინოს დოკუმენტები, გადაიხადოს შესაბამისი ბაჟი, საფასური და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, მიიღოს/ჩაიბაროს დოკუმენტები, შეასრულოს სხვა ყველა მოქმედება, რაც აქ პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ არც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების სრულფასოვნად განსახორციელებლად.

2. წინამდებარე აქტით უფლებამოსილების მინიჭება რწმუნებულისათვის მარწმუნებელს არ ზღუდავს უშუალოდ და პირადად, ან მესამე პირთა მეშვეობით განახორციელოს ყველა უფლებამოსილება, რაც მითითებულია წინამდებარე აქტში.

3. წინამდებარე აქტით დადგენილი ნორმები ვრცელდება როგორც ამ აქტის ამოქმედებამდე, ისე ამოქმედების შემდეგ წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

მუხლი 2. უფლებამოსილების მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ

1. რწმუნებულს უფლება არა აქვს, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

მუხლი 3. ინფორმირების ვალდებულების შესახებ

1. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადის შესახებ

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს განსაზღვრული ვადით და ძალაშია 01.01.2013 წლამდე (31.12.2022 წლის ჩათვლით).

2. მარწმუნებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გააუქმოს წინამდებარე აქტი; ამასთანავე, იგი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს რწმუნებულს.

3. უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

2. წინამდებარე აქტი შედგენილია 4 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.“

დანართები:

I. წინამდებარე აქტის ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი:
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ფენიქსის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17010237, 26/01/2017 14:12:30);

II. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:
სანოტარო აქტი _ შპს „ფენიქსის“ წესდება (დამოწმებული 21.01.2010 წ. ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100043204).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლი):
ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 11.80 ლარი (ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი; დღგ: 1.80 ლარი);
ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
სულ: 13.80 ლარი.

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებელს/წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მარწმუნებელმა / წარმომადგენელმა წაიკითხა აქტი და განაცხადა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.
ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი
შპს „ფენიქსი“
(დირექტორი ვახტანგ გამრეკელი) ვახტანგ გამრეკელი

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

ქვითრები: 1. „2013“
„2023“
სულ 1 ქვითარი.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191235247
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.10.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ლელა ინწკირველი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	295-44-10
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	38698768938319

მე, ოთარ ზოიძემ, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე ნოტარიუსმა ქ. თბილისში, ლელა ინწკირველის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, IV სართული, დავამოწმე ფოტოასლის შესატყვისობა ლელა ინწკირველის სანოტარო არქივში არსებული შემდეგი დოკუმენტის დედანთან:
სანოტარო აქტი სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (დამოწმებული 22.01.2019 წ. ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №190060483).

ეგზემპლარების რაოდენობა: 3
სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლებისა, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლისა):
ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 10.62 ლარი (ნოტარიუსის საზღაური 9.00 ლარი; დღგ: 1,62 ლარი);
ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
სულ: 12.62 ლარი.

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე
მომუშავე ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მასში შეტანის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 66 19 18

ვერიფიცირებულია